



## ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება №12/28

2017 წლის 27 აპრილი  
ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემოსულობებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის დამტკიცების, აუდიტორული ფირმა „ლაზიკა აუდიტის“ მიერ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების აუდიტორული შემოწმების დასკვნის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესწავლის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა.“ ქვეპუნქტის და 140-ე მუხლის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 85-ე მუხლის, „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 დეკემბრის № 21/56 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულოს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების კონტროლი და ბიუჯეტის შესრულების შეფასება. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ა.“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი საკრებულოს წელიწადში ერთხელ მაინც, მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით წარუდგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ. ასევე საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 88-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, წარმომადგენლობითი ორგანო არაუგვიანეს 1 მაისისა იღებს გადაწყვეტილებას წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა შესრულებულია 90,9 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 23806,9 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 21651,2 ათ. ლარი, ანუ 2155,7 ათ. ლარით ნაკლები. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 1131,9 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 5,5 პროცენტი. მათ შორის:

1. შემოსავლებისა და არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლების გეგმა შესრულებულია 99,3 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 21806,9 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 21651,2 ათ. ლარი, ანუ 155,7 ათ. ლარით ნაკლები. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 1131,9 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 5,5 პროცენტი.

1.1. შემოსავლების გეგმა შესრულებულია 99,9 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 21306,9 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 21290,8 ათ. ლარი, ანუ 16,1 ათ. ლარით ნაკლები. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 1275,7 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 6,4 პროცენტი. აქედან:

ა) გადასახადების გეგმა შესრულდა 93,7 პროცენტით, გეგმიური 12500,0 ათ. ლარის ნაცვლად მიღებულია 11713,6 ათ. ლარის შემოსავლები, ე.ი. 786,4 ათ. ლარით ნაკლები;

ბ) გრანტებიდან შემოსავლების გეგმა შესრულდა 98,7 პროცენტით, გეგმიური 5626,9 ათ. ლარის ნაცვლად მიღებულია 5553,0 ათ. ლარის შემოსავლები, ე.ი. 73,9 ათ. ლარით ნაკლები;

გ) სხვა შემოსავლების გეგმა შესრულდა 126,5 პროცენტით, გეგმიური 3180,0 ათ. ლარის ნაცვლად მიღებულია 4024,2 ათ. ლარის შემოსავლები, ე.ი. 844,2 ათ. ლარით მეტი.

1.2 არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლების გეგმა შესრულებულია 72,1 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 500,0 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 360,4 ათ. ლარი, ანუ 139,6 ათ. ლარით ნაკლები. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 143,8 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 28,5 პროცენტი.

2. ვალდებულებების ზრდის მუხლით (მოკლევადიანი სესხი) შემოსავლის მიღება გეგმით არ იყო გათვალისწინებული, ცვლილებების შედეგად გეგმა დამტკიცდა 2000,0 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1970,0 ათ. ლარი. ფაქტიურად სესხის დაფარვა პირდაპირ განხორციელდა ამავე მუხლიდან.

რაც შეეხება ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელებს, საანგარიშო პერიოდში გეგმა შესრულებულია 88,0 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 24977,6 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 21974,4 ათ. ლარი, ანუ 3003,2 ათ. ლარით ნაკლები. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 768,5 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 3,6 პროცენტი. მათ შორის:

1. სულ გადასახდელების გეგმა (მოკლევადიანი სესხის დაფარვის გარეშე) შესრულებულია 95,6 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 22977,6 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 21974,4 ათ. ლარი, ანუ 1003,2 ათ. ლარით ნაკლები. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 768,5 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 3,6 პროცენტი აქედან:

1.1. საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების გეგმა შესრულებულია 98,5 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 3735,9 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 3681,2 ათ. ლარი, ანუ 54,7 ათ. ლარით ნაკლები. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 181,1 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 5,2 პროცენტი. მათ შორის:

ა) აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები დაფინანსებულია 98,6 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 3657,2 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 3606,3 ათ. ლარი, ანუ 50,9 ათ. ლარით ნაკლები;

ბ) კრედიტის (საბიუჯეტო სესხის) სარგებლობისთვის გადახდილი პროცენტი დაფინანსებულია 99,7 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 68,7 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 68,5 ათ. ლარი, ანუ 0,2 ათ. ლარით ნაკლები;

გ) სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში დაფინანსებულია 64,0 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 10,0 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 6,4 ათ. ლარი, ანუ 3,6 ათ. ლარით ნაკლები.

1.2. თავდაცვის (თვითმმართველი ქალაქ ფოთის სამობილიზაციო, წვევამდელთა აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური) გადასახდელები დაფინანსებულია 91,3 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 117,3 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 107,1 ათ. ლარი, ანუ 10,2 ათ. ლარით ნაკლები. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 6,8 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 6,8 პროცენტი.

1.3. ეკონომიკური საქმიანობის ღონისძიებების გადასახდელები დაფინანსებულია 99,2 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1822,3 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 1807,0 ათ. ლარი, ანუ 15,3 ათ. ლარით ნაკლები. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 352,5 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 24,2 პროცენტი.

1.4. გარემოს დაცვის ღონისძიებების გადასახდელები დაფინანსებულია 98,9 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 2718,3 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 2718,8 ათ. ლარი, ანუ 29,5 ათ. ლარით ნაკლები. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 661,8 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 32,2 პროცენტი.

1.5. საბინაო-კომუნალური მომსახურების გადასახდელები დაფინანსებულია 95,8 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 5885,8 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 5637,1 ათ. ლარი, ანუ 248,7 ათ. ლარით ნაკლები. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 530,7 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 10,4 პროცენტი.

1.6. ჯანმრთელობის დაცვის გადასახდელები დაფინანსებულია 98,8 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 629,3 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 621,8 ათ. ლარი, ანუ 7,5 ათ. ლარით ნაკლები. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 52,6 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 9,2 პროცენტი.

1.7. დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროს გადასახდელები დაფინანსებულია 86,8 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 4438,4 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 3852,7 ათ. ლარი, ანუ 585,7 ათ. ლარით ნაკლები. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 455,4 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 10,6 პროცენტი. მათ შორის:

ა) დასვენებისა და სპორტის სფეროში მომსახურების გადასახდელები დაფინანსებულია 77,1 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 2380,4 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 1835,4 ათ. ლარი, ანუ 545,0 ათ. ლარით ნაკლები. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 211,8 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 10,3 პროცენტი;

ბ) კულტურის სფეროს მომსახურების გადასახდელები დაფინანსებულია 97,7 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1788,5 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 1747,8 ათ. ლარი, ანუ 40,7 ათ. ლარით ნაკლები. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 155,0 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 8,1 პროცენტი;

გ) უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის სახელობის ფოთის საკათედრო ტაძრის გადასახდელები (ტაძრის განათებისა და მინათების ელ. ენერჯის ხარჯების თანხა) სრულად დაფინანსდა, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 120,0 ათ. ლარს. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 18,3 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 13,2 პროცენტი.

1.8. განათლების სფეროს გადასახდელები დაფინანსებულია 99,9 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 2273,5 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 2270,7 ათ. ლარი, ანუ 2,8 ათ. ლარით ნაკლები. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 21,7 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 1,0 პროცენტი.

1.9. სოციალური დაცვის სფეროს გადასახდელები დაფინანსებულია 96,5 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1170,8 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 1129,9 ათ. ლარი, ანუ 40,9 ათ. ლარით ნაკლები. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება მეტობა 91,3 ათ. ლარით, ანუ ზრდამ შეადგინა 8,8 პროცენტი.

1.10. ვალდებულებების დაფარვის მუხლის გადასახდელები დაფინანსებულია 6,9 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 2156,0 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 148,1 ათ. ლარი, ანუ 2007,9 ათ. ლარით ნაკლები. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 110,7 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 42,8 პროცენტი. მათ შორის:

ა) მფგ - ის (გრძელვადიანი სესხები) გადასახდელები დაფინანსებულია 99,8 პროცენტით, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 148,4 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 148,1 ათ. ლარი, ანუ 0,3 ათ. ლარით ნაკლები. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეინიშნება კლება 110,7 ათ. ლარით, ანუ კლებამ შეადგინა 42,8 პროცენტი.

ბ) მფგ - ის (მოკლევადიანი სესხები) გადასახდელების დაფინანსების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 2000,0 ათ. ლარს, ფაქტიურად გადასახდელი თანხა 1970,0 ათ. ლარი დაფარული იქნა III კვარტალში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის შემოსულობების ანგარიშიდან.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილია ანგარიში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემოსულობებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ, რომელიც არ შეიცავს უზუსტობებს და რეალურად ასახავს მუნიციპალიტეტის ფინანსური საქმიანობის შედეგებს.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ანგარიში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემოსულობებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ, ფასდება დამაკმაყოფილებლად.

აუდიტორული ფირმა „ლაზიკა აუდიტის“ მიერ ჩატარებული ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების აუდიტორული შემოწმების შედეგად დადგენილია, რომ ბუღალტრული აღრიცხვის ყველა ჩანაწერი დასტურდება სათანადო გამამართლებელი და პირველადი დოკუმენტებით, რომლებიც გაფორმებულია მოქმედი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მოთხოვნათა შესაბამისად. სამეურნეო ოპერაციები ასახულია იმ საანგარიშო პერიოდში, რომელშიც ფაქტობრივად განხორციელდა. პირველად აღრიცხვაში ოპერაციები დაფიქსირებულია სწორი თანხებით. სამეურნეო ოპერაციების ასახვის დროს დაფიქსირებულია მათი არსებითი დეტალები. ამასთანავე, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ფინანსურ ანგარიშგებაში გამოვლენილია ზოგიერთი ხარვეზი, კერძოდ: ინვენტარიზაციის ჩატარებლობის გამო არ არის აღრიცხული ყველა გრძელვადიანი აქტივი და მატერიალური მარაგი; არ არის დაცული ინფორმაციის შესაბამისობის სააღრიცხვო პრინციპი, ე.ი. არ წარმოებს სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა; ანგარიშების ნაშთები და ბრუნვები არ არის გადატანილი მთავარ წიგნში; არ არის შედგენილი ფინანსური ანგარიშგება.

აუდიტორებს რეკომენდაციის სახით მიზანშეწონილად მიაჩნიათ:

ვინაიდან მერიაში არ წარმოებს დოკუმენტების ბუღალტრული დამუშავება (პირველადი დოკუმენტების მონაცემების გადატანა საბუღალტრო რეგისტრებში, მთავარ წიგნში და ფინანსურ ანგარიშგებაში) საწყისი ნაშთების არ არსებობის გამო, აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად აუცილებლობას წარმოადგენს მოხდეს მერიის ფინანსური ანგარიშების რეტროსპექტული გადაანგარიშება და მისი გამოყენება ფინანსური ანგარიშგებისთვის.

რეტროსპექტული გადაანგარიშების შემდეგ შედგეს ფინანსური ანგარიშგება, ყურადღება მიექცეს ანგარიშგებაში ფინანსური ინფორმაციის ასახვის სიზუსტეს, განსაკუთრებით არაფინანსური აქტივების რეალური შეფასების თვალსაზრისით. განისაზღვროს მერიის მუნიციპალიტეტის სააღრიცხვო პოლიტიკა (საფინანსო-სააღრიცხვო სამსახურების და თითოეული სამუშაო ადგილის მიხედვით უფლება-მოვალეობების გამოიყენა).

ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაციაში მოხდეს ცვლილებები: ბუღალტრული აღრიცხვა უნდა იწარმოოს არა დარგობრივ ჭრილში, არამედ აღრიცხვის უბნების (შრომის ანაზღაურების, ძირითადი აქტივების, ფულადი აქტივების, ფინანსური ანგარიშგების წარმოების და ა.შ.) მიხედვით; საბუღალტრო განყოფილება უნდა შევიდეს საფინანსო სამსახურის შემადგენლობაში.

დადგინდეს და ბრძანებით გაფორმდეს მუნიციპალიტეტის მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა სია (გაფორმდეს მათთან ხელშეკრულება სრულ მატერიალურ პასუხისმგებლობაზე).

ჩატარდეს სრული ინვენტარიზაცია მუნიციპალიტეტის ქონებაზე, ვალდებულებებსა და მოთხოვნებზე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ შეისწავლა საკითხი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ“. საკითხის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე ირიცხებოდა დებიტორული დავალიანება 1010,9 ათ. ლარი, კრედიტორული დავალიანება 102,6 ათ. ლარი.

### აღნიშნულიდან გამომდინარე:

#### მუხლი 1.

დამტკიცდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემოსულობებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ და შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

#### მუხლი 2.

აუდიტორული ფირმა „ლაზიკა აუდიტის“ მიერ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების აუდიტორული შემოწმების დასკვნა ცნობად იქნას მიღებული, თანახმად დანართისა.

#### მუხლი 3.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ექსპერტ - სპეციალისტების მიერ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ“ საკითხის და საფინანსო დოკუმენტაციის შესწავლის აქტი მიღებულ იქნას ცნობად, თანახმად დანართებისა.

#### **მუხლი 4.**

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა (ი. კაკულია) საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ.“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაატაროს ქმედითი ღონისძიებები - აუდიტორული ფირმა „ლაზიკა აუდიტის“ მიერ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების აუდიტორული შემოწმების ანგარიშში ასახული, ასევე, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ექსპერტ-სპეციალისტების მიერ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ“ საკითხის შესწავლით გამოვლენილი -დასკვნებისა და რეკომენდაციების შესასრულებლად და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების შემცირება - აღმოფხვრისათვის.

#### **მუხლი 5.**

გატარებული ღონისძიებების შესახებ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა (ი.კაკულია) აცნობოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 მაისამდე.

#### **მუხლი 6.**

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვისთვის გაწეული მუშაობა ცნობად იქნას მიღებული.

#### **მუხლი 7.**

კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას (პაატა ჩაგანავა).

#### **მუხლი 8.**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, აღნიშნული განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N3).

#### **მუხლი 9.**

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.